წალენჯიხა 3 ნოემბერი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის ოქმი N5

2022 წლის 3 ნოემბერს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავა. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ბესიკ ფარცვანია, ზაზა უბილავა, ასევე ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მამუკა მიქავა, მაია მიქავა, მანანა ჭანია, გონერ კვარაცხელია, რაისა ჩანგელია.

დაწყების დრო: 16:00-სთ.
დასრულების დრო: 16:15-სთ

დღის წესრიგი:

1.ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე.

პროექტის წარმომდგენი: გელა სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი.

2.სხვადასხვა.

მოისმინეს 1. საკითხი კომისიის წევრებს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა, გელა სალიამ გააცნო. მოწონებული პროექტების დაჩქარებული წესით მიღებაა საჭირო, რათა დროულად განხორციელდეს პროექტის შესრულებასთან დაკავშირებული პროცედურები. კომისიის წევრის ბესიკ ფარცვანიას აზრით, სამუშაოა ამ საკითხთან დაკავშირებით, დასამუშავებელია რეგ.ფონდში წარსადგენი დოკუმენტაცია, მიაჩნია, რომ არ არის აუცილებელი საკითხის დაჩქარებულის წესით მიღება. ამასთან, როგორც ლია-ეწერის მაჟორიტარმა აღნიშნა, რომ მოწონებულ პროექტებში უნდა ჩაისვას ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში, ფარვეზ სამუშაოს ქუჩის

რეაბილიტაცია. ასევე კომისიის წევრმა თემურ ქარდავამ პრიორიტეტულად მიიჩნია წყლის პრობლემის მოგვარება ყველა დასახლებაში. ასევე საკრებულოს წევრის მანანა ჭანიას აზრით, პროექტებს უნდა დაემატოს ქ.წალენჯიხის ზედა სასარიოს ქუჩის რეაბილიტაცია. აუცილებელია ჩაისვას, ქ.წალენჯიხის მეუნარგიას პირველი შესახვევის და ჩიხის რეაბილიტაცია, ქ.წალენჯიხის ფოთის ქუჩის გზის რეაბილიტაცია და ასევე ხვითერის უბნის გზის რეაბილიტაციის დასრულება, ჯაღრის უბნის გზის რეაბილიტაცია.

საკრებულოს წევრმა გონერ კვარაცხელიამ წარმოადგინა, შემდეგი დასამატებელი პროექტები და სავარაუდო თანხები: 1.ქ.წალენჯიხა ხობელიას ქუჩის პირველი და მეორე მონაკვეთების რეაბილიტაცია(331820ლ). 2.ქ.წალენჯიხა ადამიას ქუჩის რეაბილიტაცია(182263ლ) 3.ქ.წალენჯიხა ენგურის ქუჩის რეაბილიტაცია (85957ლ). 4. ქ.წალენჯიხა წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია (111563ლ). 5.ქ.წალენჯიხა ფოთის ქუჩის პირველი და მეორე მონაკვეთის რეაბილიტაცია (85957ლ). 6.ქ.წალენჯიხა მიქავას ქუჩის რეაბილიტაცია (902023ლ). 7.ქ.წალენჯიხა გალის ქუჩის მესამე და მეოთხე ჩიხის რეაბილიტაცია (188659ლ). 8.ქ.წალენჯიხა ფიფიას ქუჩის რეაბილიტაცია (690459ლ). 9. ქ.წალენჯიხა მეუნარგიას ქუჩის რეაბილიტაცია (427680ლ). 10.ქ.წალენჯიხა სოსელიას ქუჩის რეაბილიტაცია (235503ლ). 11.ქ.წალენჯიხა კალანდიას ქუჩის პირველი, მეორე, მესამე ჩიხების რეაბილიტაცია (417784ლ).11.ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში ლესალეს უბნის (5000კმ) ბეტონის საფრიანი გზის მოწყობა(700000ლ). 112.ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში ლეთოფურეს უბანში (600კმ) ბეტონის საფრიანი გზის მოწყობა(75000ლ).

ამით საკრებულოს კსოციალურ საკითხთა კომისიამ მუშაობა დაასრულა.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე /ომარ ქარდავა/